ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მაისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 100 (9767) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ამირან ტოტიკაშვილი ევროპის ჩემპიონია!

**პამპლონა. ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც გუშინწინ ესპანეთის ამ ქალაქში დამთავრდა, საბჭოთა ათლეტებმა სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ მხოლოდ სერგეი სივცევი (86 კგ) და იგორ შკარინი (71 კგ).**

ჩელიაბინსკელი გრიგორი ვერიჩევი (მძიმე წონა) და გროზნოელი ბაშირ ვარაევი (78 კგ) საკმარისად ცნობილი სპორტსმენები არიან და მათი გამარჯვება წლევანდელ ტურნირში არავის გაკვირვებია. ერთმაც და მეორემაც შეინარჩუნეს შარშან პარიზში მოპოვებული ტიტულები.

**აი, თბილისელი ამირან ტოტიკაშვილის (60 კგ) წარმატება კი ჩვენი გუნდისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი ტურნირი, ფინალში ევროპის შარშანდელ ჩემპიონს პატრიკ რუს (საფრანგეთი) აჯობა და ოქროს მედალი მოიპოვა.**

მას შემდეგ, რაც ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა ჰაზრეთ ტლეცერმა დაკარგა საპატიო ტიტული (ეს მოხდა 1986 წელს ბელგრადში), საბჭოთა ნაკრებს ყველაზე მსუბუქ წონაში (60 კგ) ოქროს მედალოსანი არ ჰყოლია. ოლიმპიურ სეზონში ასეთ წარმატებას ორმაგი ფასი აქვს და ახალგაზრდა სპორტსმენს (მწვრთნელები დ. ხაბულიანი და რ. კოროხაშვილი), ამ გამარჯვებას გულით ვულოცავთ.

მიზანთან სულ ახლოს იყო ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძეც, რომელიც აბსოლუტურ კატეგორიაში ასპარეზობდა. მას ჩემპიონის ოქროს მედლამდე ერთი საფეხური დააკლდა. უმაღლეს ჯილდოს კი ინგლისელი ელვის გორდონი დაეუფლა. კიბორძალიძესთან ერთად ვერცხლის მედალი კოლომნელმა ევგენი პეჩუროვმა (95 კგ) დაისაკუთრა.



ამირან ტოტიკაშვილი.

## ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე

# ეს ყველას გამოცდა იქნება

მაშ ასე, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით წელს საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში პირველად ინერგება ჩათვლა ფიზიკურ კულტურაში. ამის შესახებ საქართველოს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის სპორტსახკომმა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უკვე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდზე ქვეყნდება.

გადაწყვეტილების მიღებამდე ამ საკითხის ირგვლივ ფართო მსჯელობა გაიშალა. „ლელოს" ფურცლებზე დაიბეჭდა მკითხველთა შენიშვნები და წინადადებები, საკითხმა საერთო ინტერესი გამოიწვია.

გამოგვეხმაურნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მათ შორის აბიტურიენტები, მოსწავლეები, სტუდენტები. იყო განსხვავებული მოსაზრებებიც, კატეგორიული მოთხოვნებით, რომ სიახლისთვის მხარი დაგვეჭირა. თუმცა, ზღვა მასალაში აქა-იქ საწინააღმდეგო აზრიც გვხვდება, რაც გამოვიტანეთ კიდეც საზოგადოებრიობის სამსჯავროზე. აქვე ვიტყვით, საგანგებო ჯგუფმა, რომელსაც საბოლოო დასკვნა უნდა გამოეტანა, ყველაფერი გაითვალისწინა. დაშვებულია შეღავათებიც, რაკი სიახლე პირველად ინერგება. მთავარია ის, რომ საერთო ენთუზიაზმს სწორი მიმართულება მიეცა, გადაუდებლად. და თამამად ვიწყებთ საქმეს, რაც სავსებით გამოხატავს დაჩქარებისა და გარდაქმნის სულისკვეთებას.

სიახლე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, ჩვენი სპორტული ბაზების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს. ეს მათი დიდი გამოცდაც იქნება. დაუყოვნებლივ, დღეიდანვე უნდა გავატაროთ კონკრეტული ღონისძიებები, რომ რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე შეუფერხებლად მოვემსახუროთ აბიტურიენტებს. „ლელოს" რედაქცია ამ საქმის ორგანიზაციაში შეფობას გაუწევს თბილისის „დინამოს" სტადიონის კოლექტივს და გამოცდილებას განვაზოგადებთ. თავისი სიტყვა უნდა თქვან სპორტული საქონლით ვაჭრობის მუშაკებმა, ალბათ მთავარ სპორტულ ბაზებზეც უნდა მივიტანოთ საჭირო ასორტიმენტის სპორტული ნაწარმი. რა შესაძლებლობები აქვთ კოოპერატივებს? იქნებ იკისრონ და დაუყოვნებლივ დაამზადონ უბრალო, მაგრამ მოხდენილი, ცხადია, არა ძვირად ღირებული სპორტული ფორმების კომპლექტები. სპორტულმა კოოპერატივებმა კი ალბათ დაუყოვნებლივ უნდა გახსნან სასწავლო ჯგუფები, სადაც აბიტურიენტები მოკლე დროში აითვისებენ ჩასაბარებელ ნორმატივებს, შეამოწმებენ თავიანთ შესაძლებლობებს. რაც მთავარია, რესპუბლიკის ყველა სპორტული ბაზა, მიუხედავად იმისა, ვის ეკუთვნის ისინი, თავისუფალ დროს დღეიდანვე უნდა ჩავაყენოთ აბიტურიენტთა სამსახურში. უნდა შევქმნათ საკონსულტაციო პუნქტები. იქნებ აბიტურიენტთათვის სურვილის მიხედვით, 12-დღიანი ფასიანი სასწავლო ჯგუფებიც გაიხსნას, სადაც ეს შესაძლებელია. მოკლევადიან მოსამზადებელ კურსებზე 10-12 მეცადინეობა — სამი მანეთი, ვფიქრობთ, ეს ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. და, აქვე უნდა ითქვას, ფიზკულტურაში ჩასათვლელი ნორმატივების გამოქვეყნება თავისთავად დიდი დემოკრატიულობაა. უმაღლესში მისაღებ არც ერთ საგანში არ ქვეყნდება წინასწარ, ასე ვთქვათ, საგამოცდო ბილეთები. ამასთან, ნორმატივები ძალიან მარტივია და აბიტურიენტებს მისი მომზადება არ გაუჭირდებათ.



შაბათს, 21 მაისს, თბილისში, რიყის ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატი ავტორალში. ამ ასპარეზობის შედეგებს „ლელოს" უახლოეს ნომერში გაგაცნობთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ინფორმაცია

**პარიზი.** ადრე მიღებული ტრავმის მიუხედავად ლეილა მესხი ითამაშებს საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში. კენჭისყრით ჩვენი თანამემამულის პირველი მეტოქეა არგენტინელი ბეტინა ფულკო.

## ყოველ სამშაბათს...

# რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

### 16-22 მაისი

რამ მიიპყრო ჩვენი მკითხველების ყურადღება გასული კვირის განმავლობაში?

„უსაზღვროდ გაგვახარა ჩვენი შესანიშნავი ძიუდოისტის ამირან ტოტიკაშვილის გამარჯვებამ ევროპის ჩემპიონატში", — ასეთი იყო ერთსულოვანი აზრი სპორტის გულშემატკივრებისა, რომლებიც გუშინ დაგვიკავშირდნენ რედაქციაში. ცხადია, გასახარია ამავე შეჯიბრებაზე აკაკი კიბორძალიძის ვერცხლის მედალიც.

ჭადრაკის გულშემატკივრები იმედით ადევნებენ თვალ-ყურს ჩვენი ნიჭიერი გოგონების ქეთევან არახამიას, ქეთინო კახიანისა და სოფიკო ტერელაძის თამაშს. არახამიამ და კახიანმა ერთმანეთში 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიოს და ევროპის პირველობის საგზურები გაითამაშეს. როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს პირველობაზე არახამია გაემგზავრება, ევროპის პირველობაზე — კახიანი. 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიოს პირველობის საგზური კი სოფიკო ტერელაძემ მოიპოვა.

გასული კვირის მანძილზე საერთო ყურადღების ცენტრში იყო უმაღლეს სკოლებში მისაღებ გამოცდებზე ფიზკულტურის შემოღების საკითხზე მსჯელობა.

მკითხველები იწონებენ ახალ რუბრიკას — „ყველას ხომ ერთი გადია გვყავდა..." და მოითხოვენ ამ რუბრიკით ხშირად დავბეჭდოთ სხვადასხვა პროფესიის ცნობილი ადამიანების მოგონებები, მათი შეხედულებები სპორტის მნიშვნელობაზე ჩვენს ცხოვრებაში.

**რამ დაგვწყვიტა გული?**

ფეხბურთის გულშემატკივრები აღშფოთებას ვერ მალავენ თბილისის დინამოელთა უსუსური, ყოვლად უპასუხისმგებლო თამაშის გამო. ყოველი ახალი წაგების შემდეგ ფეხბურთელებსა და გუნდის ხელმძღვანელებს სურთ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს საგანგაშო არაფერია. დაპირებებსაც ბოლო არ უჩანს, როდემდე? ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს.

ფეხბურთის გულშემატკივართა ერთ ნაწილს არ მოსწონს, როცა დინამოელთა თამაშისადმი უძღვნილ წერილს ავტორის ნაცვლად ვაწერთ — „ლელოს" საფეხბურთო განყოფილება". ვფიქრობთ, ეს სადავო არ უნდა იყოს. განა კოლექტიური აზრი უფრო სარწმუნო არ არის, ვიდრე ერთი ავტორისა? „ლელოს" ფეხბურთის განყოფილების ჟურნალისტები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, რასაც სარედაქციო კოლეგიაც ეთანხმება.

განვლილ კვირაში ჩვენს პუბლიკაციებზე გამოგვეხმაურნენ: გ. ბერიძე, ვ. სიმონია, რ. ჩანტლაძე, ბ. მაღლაკელიძე, ბ. გულუა, ი. ნაკაიძე (ყველა — თბილისი), ზ. გელაშვილი (ბორჯომი), ბ. ჭურღულია (ზუგდიდი), ე. სიდამონიძე (რუსთავი), ქ. აბაზაძე (ბათუმი), ხ. გაბარაევი (ცხინვალი), ე. მარიდაშვილი (საგარეჯო) და სხვები.

# პირველი წრის შედეგები

**კვირას** ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) XXIII ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო შეხვედრა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა უმასპინძლა საფრანგეთის მეორე („ა") ნაკრებს და გაიმარჯვა — 17:10 (14:6).

მატჩის პირველი ნახევარი საბჭოთა რეგბისტების აშკარა უპირატესობით წარიმართა, რაც მორკინალთა მიერ გატანილ სამ ლელოშიც აისახა. შესვენების შემდეგ ახალგაზრდა ფრანგმა რეგბისტებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, ანგარიშიც შეამცირეს, მაგრამ მატჩის მიწურულს საბჭოთა გუნდის გარე ნახევარმცველის — ნეჩაევის მიერ არეკნით გატანილმა ბურთმა სტუმრებს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

ამ შეხვედრაში სხვებთან ერთად საბჭოთა რეგბის ღირსებას იცავდა ქუთაისის „მშენებლის" მეორე ხაზის მორკინალი ბესო ლილუაშვილი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

დაწვრილებით საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მატჩის შესახებ გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

**პირველი წრის (1987-88 წლების სეზონი) შედეგები:**

რუმინეთი — საბჭოთა კავშირი 18:10, საბჭოთა კავშირი — იტალია 12:9, საფრანგეთი „15" (ეროვნული ნაკრები) — რუმინეთი 49:3, ესპანეთი — იტალია 0:13, საფრანგეთი „ა" — იტალია 19:9, იტალია — რუმინეთი 3:12, რუმინეთი — ესპანეთი 16:7, საბჭოთა კავშირი — ესპანეთი 12:7, ესპანეთი — საფრანგეთი „ა" 16:32, საბჭოთა კავშირი — საფრანგეთი „ა" 17:10.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10 |
| საბჭოთა კავშირი | 4 | 3 | 0 | 1 | 10 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10 |
| იტალია | 4 | 1 | 0 | 3 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 4 |

ცხრილში ადგილები განაწილდა ბურთების სხვაობის მიხედვით.

## ევროპის ღია ჩემპიონატი რეგბიში



სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

# ნაკრების 24 კანდიდატი

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრები უშუალო მზადებას შეუდგა ევროპის ჩემპიონატის საფინალო ტურნირის წინ.

ნაკრებს სათავეში უდგას ვ. ლობანოვსკი, რომელსაც ექიმებმა ავადმყოფობის შემდეგ მუშაობის დაწყების ნება დართეს. მთავარმა მწვრთნელმა დაასახელა ნაკრების 24 კანდიდატი, მათგან 20 ფეხბურთელის სიას სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია 1 ივნისამდე გაუგზავნის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს:

**მეკარეები** — ჩანოვი, დასაევი; **მცველები** — ბესონოვი, სულაქველიძე, ლარიონოვი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, ბალტაჩა, ვიშნევსკი, ბუბნოვი, დემიანენკო, სუკრისტოვი; **შუა ხაზისა და შეტევის მოთამაშეები** — ლიტოვჩენკო, გოცმანოვი, რაცი, პასულკო, ალეინიკოვი, მიხაილიჩენკო, დობროვოლსკი, ზავაროვი, პროტასოვი, როდიონოვი, ბელანოვი, დმიტრიევი.

# ჩემპიონი — ორი, მედალი — სამი

**მოსკოვის** ოლქში, მიტიშის ოლიმპიურ სასროლეთზე დინამოელმა სპორტსმენებმა ამ სპორტსაზოგადოების წლევანდელი ჩემპიონატის მედლები გაითამაშეს. შეჯიბრებაში სამი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს ქართველმა სნაიპერებმა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში შესანიშნავად გამოვიდა თბილისელი მსროლელი ნინო უჩაძე (მწვრთნელები-გივი ბოსტოღანაშვილი და თენგიზ ხერხეულიძე), რომელმაც ორი ოქროს მედალი დაიმსახურა, მპ-10 (572 ქულა) და მპ-3 (276 ქულა) ვარჯიშებში. ძალზე სასიხარულოა აგრეთვე ბათუმელი დარეჯან დუმბაძის (მწვრთნელი — ჯემალ თიკანაძე) წარმატებაც. იგი უძლიერესი იყო ოლიმპიურ-პპ-2 ვარჯიშში (პნევმატური პისტოლეტი) — 384 ქულა. აღსანიშნავია, რომ დარეჯან დუმბაძე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრია და ამ ასაკის სპორტსმენთა II საკავშირო თამაშებისათვის ემზადება.

„გაქცეულ ტახზე" სროლაში VIII ადგილზე გავიდა ქუთაისელი ილია ჩაგანავა — 586 ქულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე

# გადაწყვეტილება

**საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიებისა**

## უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ფიზიკურ მომზადებაში საკონტროლო ნორმატივების შემოღების შესახებ

ითვალისწინებენ რა საზოგადოებრივ აზრს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ფიზიკურ მომზადებაში საკონტროლო ნორმატივების შემოღების აუცილებლობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიებმა გადაწყვიტეს:

— მიმდინარე წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში საბუთების შეტანის წინ, დღის დასწრებული სწავლების ყველა მსურველმა ჩააბაროს საკონტროლო ნორმატივები ფიზიკურ მომზადებაში;

— დამტკიცდეს ფიზიკურ მომზადებაში საკონტროლო ნორმატივების ჩასაბარებლად სპორტული ბაზების ჩამონათვალი უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით (დანართი № 1);

— ფიზიკური მომზადების შეფასების საკონტროლო ნორმატივების მიმღები კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს უმაღლესი სასწავლებელი. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ნორმატივების ჩაბარების გაადვილების მიზნით კომისია იმუშავებს ტერიტორიული პრინციპითაც, რაც მსურველებს საშუალებას მისცემს ნორმატივები ჩააბარონ ტერიტორიულად მათთვის ხელსაყრელ სპორტულ ბაზაზე. შემდგომში სადაო სიტუაციის შემთხვევაში შედეგები გადამოწმდება ნორმატივების ახლიდან ჩაბარებით;

— ფიზიკური მომზადება შეფასდება ა. წ. 12 მაისს გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული საკონტროლო ნორმატივების მიხედვით შემუშავებული ვარიანტით (დანართი № 2);

— ნორმატივები ბარდება სპორტის ხუთი სახეობიდან სამში—შერჩევით. ორ სახეობაში 9 ან 10 ქულის მიღების შემთხვევაში, ჩამბარებელი თავისუფლდება მე-3 ნორმატივის ჩაბარებისაგან;

— დამტკიცდეს საკონტროლო ნორმატივების ჩაბარების ვადა მიმდინარე წლის **1 ივნისიდან 12 ივლისამდე ჩათვლით. 1 ივნისიდან 18 ივნისამდე** ნორმატივების მიღება იწარმოებს თბილისის „ლოკომოტივის“ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონებზე, 18 ივნისიდან იმუშავებს დანართი № 1-ით დამტკიცებული ყველა სტადიონი და კომისია;

— პრესისა და რადიოს საშუალებით ეცნობოს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ, რომ ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩასაბარებლად სტადიონზე უნდა გამოცხადდნენ **სპორტული ფორმით**, თან იქონიონ პასპორტი და ჯანმრთელობის ცნობა;

— ნორმატივების ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან სპორტის ოსტატები და უფრო მაღალი რანგის სპორტსმენები, საქართველოს სსრ ნაკრები გუნდების წევრები, თბილისის 35 (ფეხბურთის) და 158 (კალათბურთის) სპეციალიზებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულები;

— ცნობად იქნეს მიღებული, რომ მისაღებ გამოცდებზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში აბიტურიენტების სასწავლებელში ჩარიცხვის ერთ-ერთ პირობად დამტკიცებულია: **„უპირატესობა მიენიჭოთ აბიტურიენტებს, რომლებიც ჩათვლიან ნორმატივებს ფიზიკურ მომზადებაში“;**

— ნორმატივების ჩაბარება ჩატარდეს ბარათული სისტემით: პიროვნებას, რომელიც ჯანმრთელობის გამო თავისუფლდება ჩათვლებისაგან, ეძლევა ბარათი ჩანაწერით — **„განთავისუფლებულია“**, ვინც ვერ შეძლებს ნორმატივების ჩაბარებას — **„მონაწილეობდა“**, ხოლო ვინც ჩააბარებს ნორმატივებს — **„ჩაეთვალა“**. ის, ვინც ჩათვლისაგან განთავისუფლებულია, ან ჩათვლა ვერ მიიღო, უმაღლესში საბუთების შეტანის უფლებას მაინც ინარჩუნებს.

— ნორმატივების მიმღები კომისიების მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე კოორდინაციისა და მეთოდური დახმარების პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გადაწყვეტილება ქვეყნდება შემოკლებით, მასში დარჩა მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც უმაღლესში შემსვლელებს აინტერესებთ.**

## ნორმატივები

დანართი № 2

### ფიზიკურ მომზადებაში უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის

| საკონტროლო ნორმატივები | 16-18 წელი შედეგი | შეფასება | 19-28 წელი შედეგი | შეფასება | 29-35 წელი შედეგი | შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვაჟები** | | | | | | |
| 1. რბენა 100 მ. | 15.0 | ჩათვლა | 14.5 | ჩათვლა | 15.5 | ჩათვლა |
| | 14.5 | 4 | 14.0 | 4 | 15.0 | 4 |
| | 14.0 | 5 | 13.5 | 5 | 14.5 | 5 |
| 2. რბენა 1000 მ. | 3.50,0 | ჩათვლა | 3.40,0 | ჩათვლა | 4.05,0 | ჩათვლა |
| | 3.40,0 | 4 | 3.30,0 | 4 | 3.55,0 | 4 |
| | 3.30,0 | 5 | 3.20,0 | 5 | 3.45,0 | 5 |
| 3. იატაკზე წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა | 10 | ჩათვლა | 12 | ჩათვლა | 8 | ჩათვლა |
| | 15 | 4 | 17 | 4 | 12 | 4 |
| | 20 | 5 | 22 | 5 | 15 | 5 |
| 4. ბუქნი წინმკლავი | 40 | ჩათვლა | 50 | ჩათვლა | 30 | ჩათვლა |
| 5. ცურვა (50 მ. დროის გარეშე). | — | ჩათვლა | — | ჩათვლა | — | ჩათვლა |
| **ქალები** | | | | | | |
| 1. რბენა 100 მ. | 17.0 | ჩათვლა | 16.5 | ჩათვლა | 17.5 | ჩათვლა |
| | 16.5 | 4 | 16.0 | 4 | 17.2 | 4 |
| | 16.0 | 5 | 15.5 | 5 | 16.8 | 5 |
| 2. რბენა 500 მ. | 2.25,0 | ჩათვლა | 2.20,0 | ჩათვლა | 2.30,0 | ჩათვლა |
| | 2.10,0 | 4 | 2.05,0 | 4 | 2.20,0 | 4 |
| | 2.00,0 | 5 | 2.00,0 | 5 | 2.10,0 | 5 |
| 3. ზურგზე წოლილა მდგომარეობიდან წამოჯდომი (ხელები თავს უკან) | 20 | ჩათვლა | 23 | ჩათვლა | 17 | ჩათვლა |
| | 25 | 4 | 28 | 4 | 22 | 4 |
| | 30 | 5 | 33 | 5 | 27 | 5 |
| 4. ბუქნი წინმკლავი | 30 | ჩათვლა | 35 | ჩათვლა | 25 | ჩათვლა |
| 5. ცურვა (25 მ. დროის გარეშე) | — | ჩათვლა | — | ჩათვლა | — | ჩათვლა |

დანართი № 1

## სპორტული ბაზების ნუსხა, სადაც კომისიები ნორმატივებს ჩაიბარებენ

### თბილისი

„ლოკომოტივის“ სტადიონზე — **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე — **საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.**

ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე — **ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი.**

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე — **თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი.**

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონზე — **თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.**

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე — **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.**

საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტადიონზე — **საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.**

სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონზე — **თბილისის სამხატვრო აკადემია; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია; საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი.**

### სოხუმი

სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე — **აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტადიონზე — **საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.**

### ბათუმი

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე — **ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.**

### ცხინვალი

ცხინვალის ცენტრალურ სტადიონზე — **სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი.**

### ქუთაისი

ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე — **ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი; ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.**

### გორი

გორის ცენტრალურ სტადიონზე — **გორის ეკონომიკური ინსტიტუტი.**

### თელავი

თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტადიონზე — **თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი.**

## ჩათვლის ბარათი

გ. ს. მ. ს. (სრულად) — — — — — — — — — — — — — — —
პასპორტის სერია — — — — № — — — — — — — — — —
წლოვანება — — — — — — — — — — — — — — —
ქალაქი, რაიონი, სოფელი — — — — — — — — — —
— — — — — — — — — — — — — — — — — — —
რომელ წელს დაამთავრეთ სკოლა — — — — — — — —
გაქვთ თუ არა თანრიგი (რომელი) — — — — — — — —
სპორტის სახეობა — — — — — — — — — — — —
იცით თუ არა ცურვა — — — — — — — — — — —
თქვენი სიმაღლე — — — — — — წონა — — — — — — — —

კომისიის დასკვნა:

1. რბენა 100 მ. შედეგი — — — შეფასება — — — — —
ხელის მოწერა — — — — — — — — — — — — —
2. რბენა 1000 მ. 500 მ. შედეგი — — — შეფასება — — — —
ხელის მოწერა — — — — — — — — — — — — —
3. იატაკზე წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა. ზურგზე წოლილა მდგომარეობიდან წამოჯდომი (ხელები თავს უკან)
შედეგი — — — — — — შეფასება — — — — — — — —
ხელის მოწერა — — — — — — — — — — — — —
4. ბუქნი, წინმკლავი, შედეგი — — — — შეფასება — — — — —
ხელის მოწერა — — — — — — — — — — — — —
5. ცურვა (დროის გარეშე) 50 მ. 25 მ.
შედეგი — — — — — — შეფასება — — — — — — — —
ხელის მოწერა — — — — — — — — — — — — —
კომისიის თავმჯდომარე
ხელის მოწერა — — — — — — — — ბეჭედი

## ყურადღება!

**აბიტურიენტებს, რომლებსაც სურთ დაწვრილებითი ცნობები მიიღონ ცალკეულ საკითხებზე, გთხოვთ დაგვირეკოთ „ლელოს“ რედაქციაში დღეს და ხვალ ტელეფონით 99-56-14 ან მოგვწერეთ.**

**ამ დღეებში აბიტურიენტებისთვის ამავე თემაზე საგანგებო გადაცემას გეგმავს საქართველოს ტელევიზია. თქვენთვის საინტერესო მრავალ საკითხზე პასუხი ტელევიზიის მეშვეობითაც შეგიძლიათ მიიღოთ.**

● ● ●

**აბიტურიენტებს, ვისაც სურვილი აქვს ჩააბარონ ნორმატივი ცურვაში, იმ საცურაო აუზებს, სადაც ჩათვლებს ჩაიბარებენ, ცალკე გამოვაქვეყნებთ.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

# საქმეს კატასტროფამდე ნუ მივიყვანთ

**სსრ კავშირის** საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურში, რომელიც 22 მაისს შედგა, თბილისის „დინამომ" სტუმრად ითამაშა ოდესაში. „ჩერნომორეცი", თავისთავად, ისეთი სიძლიერის მეტოქე არ არის, რომ მასთან შეხვედრა, გნებავთ, სტუმრადაც, რაღაც განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყოს დაკავშირებული. რიგითი, ორდინარული მატჩია. „ჩერნომორეცი" მხოლოდ წლეულს დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, მას უწინაც არა ჰქონია რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი წარმატებები (მაქსიმუმი — მესამე ადგილი 1974 წელს), უმაღლეს ლიგაში თამაში ამ გუნდისთვის უკვე მიღწევაა და მისი უმთავრესი ამოცანაც წლიდან წლამდე ეგაა: დაჯავშნული ადგილი ჰქონდეს საკავშირო ჩემპიონატის 16 მონაწილეს შორის. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერი გუნდები ოდესელებთან მატჩებს, შინ თუ სტუმრად, გადაულახავ სიძნელედ არ მიიჩნევენ და, ჩვეულებრივ, მოგების იმედით სტუმრობენ ოდესას.

ალბათ, ასე უნდა მოქცეულიყო თბილისის „დინამოც" და მისი ამოცანა მით უფრო კონკრეტული იყო, რომ „ჩერნომორეცი" და თბილისის „დინამო" XI ტურისთვის გათამაშების ცხრილის ახლო მეზობლობაში იმყოფებოდნენ: ოდესელებს 10 ქულა ჰქონდათ, თბილისელებს — 8. მოიგე ეს თამაში და მდგომარეობაც საგრძნობლად გამოსწორდება.

მაგრამ მოგებას ცოდნა უნდა, გამარჯვებას ესაჭიროება სპორტული სიძლიერე, უნარი, მონდომება, ნებისყოფის მობილიზება, საბრძოლო განწყობა და თავგანწირული თამაში. ეტყობა, არც ერთი ეს თვისება თბილისის „დინამოს" სადღეისოდ არ გააჩნია, ჩვენი გუნდი იმდენად დაძაბუნდა, რომ ოდესაში გამარჯვება უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩში მისთვის მიუწვდენელ ოცნებად იქცა. როგორი ოპონენტებიც არ უნდა გამოგვიჩნდნენ ჩვენ, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებს, რამდენიც არ უნდა გველაპარაკონ შექმნილ კონიუნქტურულ ვითარებებზე, უცილო, მეტად სავალალო ფაქტი ისაა, რომ თბილისის „დინამოს" კვლავ და კვლავ უხდება ზრუნვა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე, სხვა პერსპექტივები, სხვა რამდენადმე მაინც რეალური მიზნები მას ჯერჯერობით არ გააჩნია. უიმედოდ ჩამორჩით აუტსაიდერთა რიგებში. ახლა ჩვენი უმთავრესი მეტოქეები სწორედ ჩამორჩენილნი არიან და მათთან ურთიერთობაში უნდა გადავჭრათ ოდესლაც განთქმული გუნდის უმაღლეს ლიგაში დარჩენის ამოცანები.

ვითარება ფრიად საჩოთიროა, ჩვენი გუნდი კვლავ კატასტროფის წინაშე იმყოფება და სწორედ დინამოელთა ხელმძღვანელებმა, გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა მიზნად უნდა ის დაისახოს, რომ შეძლოს უძლიერესთა რიგებში ადგილის დამკვიდრება. ასეა საქმე სადღეისოდ, სხვა პერსპექტივები ჯერ არ ჩანს.

ენა ვის მოუბრუნდება თქვას, თბილისის „დინამოს" თამაშით კმაყოფილი ვართო. და მით უფრო გასაკვირია, როცა დინამოელთა ხელმძღვანელის ერთ-ერთ ინტერვიუში ვკითხულობთ: **ჩვენს კოლექტივში ნორმალური ვითარება სუფევს, წაგებებმა ვერ აგვაცდინა კალაპოტს, ვერ გამოიწვია პანიკის გრძნობა. ყველას შეგნებული გვაქვს რა პასუხისმგებლობა გვაწევს და ვცდილობთ გავამართლოთ გულშემატკივართა იმედები. ენერგიულად ვემზადებით, ინტენსიურად ვვარჯიშობთ, ჩვენი საშუალო დღიური დატვირთვა დღეში 6,5 კილომეტრს უდრის (?!), ვვარჯიშობთ წყვილებად, ოთხეულებად, ჯგუფურად, ვხვეწთ ტექნიკურ ილეთებს და ა. შ. ერთი სიტყვით, ბიჭები ცდილობენ, პრეტენზიები მათ მიმართ მეცადინეობის პროცესში არა გვაქვს.**

გასაოცარია! განა ვარჯიშებით და საწვრთნელი ნორმების დოზირებით ხდება ფეხბურთელთა კლასის შეფასება? მწვრთნელებს, თურმე, პრეტენზიები არა ჰქონიათ დინამოელთა მიმართ, ჩვენ კი, გულშემატკივრებს, პრეტენზიები საკმარისზე მეტი გვაქვს და ეს პრეტენზიები სამართლიანი და ყოველმხრივ დასაბუთებულია. ეჭვი არ გვეპარება, მათ მხარს დაუჭერს ყველა, ვინც კი დაინტერესებულია თბილისის „დინამოს" ბედ-იღბლით, ვისაც საქართველოს პირველი საფეხბურთო კოლექტივის აწმყო და მომავალი თავის სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნია.

ასე არ შეიძლება გაგრძელდეს! ხვალ თუ არა ზეგ თბილისის „დინამო" საკავშირო ჩემპიონატის ცხრილში ბოლო ადგილებზე ჩამოქვეითდება, პერსპექტივაში კი პირველი ლიგაა და თუ ჩვენი საფეხბურთო საქმეები სამერმისოდაც ასე უკუღმართად წარიმართა, საერთოდ დავკარგავთ დიდ ფეხბურთში მოპოვებულ ათეული წლებით დამკვიდრებულ ტრადიციებს, მერე, ვინ იცის, ხელახლა როდისღა მივაღწევთ ძველ სიმაღლეებს.

თბილისის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა იმავე ინტერვიუში განაცხადა: **„ჩვენი ბიჭები დიდად ცდილობენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ ვერა და ვერ ისწავლეს ზუსტად, უშეცდომოდ თავის დაცვა, შეტევის დროს თავი დააღწიონ მეტოქის მეურვეობას, ითამაშონ უნარიანად, ტაქტიკურად გამართულად. ეტყობა, ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება".**

საინტერესოა: მცველებს ჯერ არ აუთვისებიათ ზუსტი, უშეცდომო თამაში, შეტევა პერსპექტიული არაა, ხელმძღვანელს კი მიაჩნია, რომ გუნდში ნორმალური ვითარებაა, გაუთავებელ წაგებებს, თურმე, პანიკის გრძნობა არ გამოუწვევია და ყველა კეთილსინდისიერად ცდილობს გაამართლოს გულშემატკივართა იმედები?!

ჩვენ კი ასე გვგონია, რომ კარგად წარმოებული სასწავლო ვარჯიშები და საწვრთნელი პროცესი სწორედ მაშინ უნდა იწვევდეს კმაყოფილების გრძნობას მწვრთნელში, როცა ყველაფერი ეს უმნიშვნელოვანეს კალენდარულ მატჩებში პოულობს შესაფერის ასახვას, თორემ მარტოოდენ წვრთნაზე გამოჩენილი მონდომება ჩემპიონატის მატჩებში დამარცხებებს რას შველის?

არც ის არგუმენტი გვეჩვენება დამაჯერებლად, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს ტრავმა აქვს. დანაკლისის გარეშე, რამდენადაც ვიცით, არც ერთი გუნდი არ თამაშობს, მაგრამ ყველა პოულობს სათანადო შემცვლელებს ისე, რომ თამაშის დონე არ დააქვეითოს. გავიხსენოთ, თუნდაც, მოსკოვის „სპარტაკთან" ჩვენი ამასწინანდელი მატჩი, რომელიც დიდი ანგარიშით წავაგეთ. ვინ გამოდიოდა სპარტაკელთა რიგებში? მინდორზე იყვნენ დასაევი, ხიდიატულინი, ბუბნოვი, ჩერენკოვი და როდიონოვი. ეს საყოველთაოდ ცნობილი, გამოცდილი ოსტატებია, მაგრამ ამავე დროს სპარტაკელთა რიგებში გამოდიოდნენ სუროვი, კაპუსტინი, მოსტოვოი, შალიმოვი, ივანოვი და შმაროვი. ესენი სწორედ ახლა დგამენ დიდ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს და როგორც ხედავთ — წარმატებითაც. ამგვარი მაგალითები ჩვენი უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებშიც საკმარისადაა. თბილისის „დინამოშიც" გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ჯერჯერობით ვერ ვასწავლეთ ფეხბურთის რიგიანი თამაში. სისტემატურად ვაგებთ მეტოქეთა მინდვრებზეც, ვმარცხდებით შინაც, თუმცა, ჩვენი სტადიონის ტრიბუნებიდან დინამოელ ფეხბურთელებს თავგამოდებით უჭერენ მხარს, ქომაგობაში ჩვენი ფეხბურთელები ვერ დაგვემდურებიან. არც სტვენა, არც ლანძღვა ჯერ არ ისმის „დინამოს" სტადიონზე.

წინა მატჩების მიმოხილვებში რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ, რომ დინამოელებს მონდომება არ აკლიათ, მაგრამ ტექნიკური და ტაქტიკური ხასიათის ხარვეზების გამო ვერ აჩვენებენ გამართულ თამაშს. ახლა კი ის შეგვიძლია დავუმატოთ, რომ მოთამაშეთა ამ ენერგიამ და თავგამოდებამაც მკვეთრად მოიკლო, ამის გამო ჩვენი გუნდი სრულიად დემორალიზებული იყო მოსკოვის „სპარტაკთან" შეხვედრაში, მერეც, ოდესის სტადიონზე, ყოვლად მდარე, უნებისყოფო დაბალი კვალიფიკაციის, უფერო თამაში აჩვენა. რადიო და ტელევიზიის რეპორტაჟებით კომპეტენტურ დასკვნებს ვერ გამოიტან, მაგრამ გუშინ რომ ტელევიზიით ვიხილეთ „ჩერნომორეცთან" ჩატარებული მატჩის მეორე ტაიმი, ორი აზრი არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს: თბილისის „დინამო" მინდორზე გამოიყურებოდა საშუალოზე საგრძნობლად დაბალი კვალიფიკაციისა და მომზადების გუნდად, მეტოქის კართან თითქმის არ შექმნილა რამდენადმე მაინც რეალური ხიფათი, ჩვენმა ნაქებმა „დინამომ" სავსებით კანონზომიერად ჩათვალა ოდესელთა გამარჯვება და დამარცხებასთან შერიგებულმა დატოვა მინდორი.

გამოდის, რომ სადღეისოდ ჩვენ არა გვყავს უმაღლესი ლიგის შესაფერისი საფეხბურთო გუნდი! თამაშის კლასის სრული დეგრადაციის მოწმენი ვართ და რაც უფრო დრო გადის, საქმეც სულ უფრო უარესად და უარესად გვაქვს. ოდესაში ჯერ კიდევ თამაშის პირველ წუთზე ბურთი გაიტანა პროციუკმა, 57-ე წუთზე მეკარე ჭანტურიას კარი მეორედ აიღო კუზნეცოვმა და ორივე ეს გოლი მცველთა მიუტევებელი შეცდომების პირდაპირი ნაყოფი იყო. „ჩერნომორეცის" მეკარე გრიშკოს სულ უმნიშვნელო დატვირთვაც არა ჰქონია, ყველაფერი გადაწყდა შუა მინდორში და თბილისის „დინამოს" კართან.

თბილისის „დინამოს" ცალკეული რგოლები ამჟამად უმაღლესი ლიგის მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ პასუხობს: მცველთა შეცდომები ნორმად იქცა, ნახევარმცველები შუა მინდორში სრული ტაქტიკური ქაოსის ტყვეობაში იმყოფებიან, რაც [illegible] შეტევას, კარგად ხედავთ, [illegible] 11-[illegible] ჩვენი თავდასხმის შედეგიანობა ოდნავადაც არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს.

**თბილისის „დინამოს" ბედი ყველას გვაწუხებს. რედაქციაში მრავლად მოდის გულისწყრომის გამომხატველი წერილები, ვინ არ გვწერს: ვეტერანი და პიონერი, დიასახლისი და პენსიონერი, სტაჟიანი თუ უსტაჟო გულშემატკივარი, მაგრამ მთელ ამ ზღვა ფოსტაში ვერ ნახავთ ფეხბურთის სპეციალისტის, მწვრთნელის, ყოფილი ფეხბურთელის და, საერთოდ, გამოცდილი, საქმის მცოდნე ადამიანის ვერც ერთ სიტყვას. განა შეიძლება გუნდის მთელი საზრუნავი და თავსატეხი ამბები მარტო გულშემატკივრებს შევატოვოთ ხელში და კვალიფიციურმა სპეციალისტებმა, ფეხბურთის სამმართველოს თუ ფედერაციის მუშაკებმა, ავტორიტეტულმა პირებმა წყალი დაიგუბონ პირში?**

**თბილისის „დინამოს" შველა სჭირდება, ეს მაშველი რეზერვები კი უშუალოდ გუნდის ხელმძღვანელების გარდა უნდა ჩვენს პროფესიონალ ფეხბურთის სპეციალისტთა შორისაც ვეძიოთ! თბილისის „დინამოს" ესაჭიროება პერსპექტიული ძალები, ესაჭიროება საქმიანი რჩევა და დარიგება, ჩვენი გუნდი თამამად უნდა გამოვიდეს ჩაკეტილი კედლებიდან, წარსდგეს ფართო სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე, ურთულესი პრობლემები უნდა გადაიჭრას ერთობლივად, მთელი რესპუბლიკის საფეხბურთო რესურსების ერთიანი მონაწილეობით.**

საკავშირო ჩემპიონატში 26 ივნისამდე შესვენებაა, ამ ანტრაქტში თბილისის „დინამო" მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების მატჩებში, მწვრთნელებს სწორედ ახლა აქვთ შესაძლებლობა დაადგინონ ძირითადი სტაბილური შემადგენლობა, ფეხბურთელები მოამზადონ არა საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფის გუნდთან, არამედ გამოცდილ, ძლიერ მეტოქეებთან. ეს უნდა შევძლოთ ამ უახლოესი ერთი თვის მანძილზე, საჭიროა საქმეს ამთავითვე ვუშველოთ, ნაყოფიერად, მაქსიმალურად გამოვიყენოთ 26 ივნისამდე დარჩენილი დრო.

„ლელოს" ფეხბურთის განყოფილება.

გასულ კვირას, 22 მაისს, შედგა 27 და 29 მაისის XI ტურიდან გადმოტანილი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში:

**„შახტიორი" — „ნეფთჩი" 0:2**

**„დნეპრი" — „დინამო" მ. 2:0**

**„სპარტაკი" — „არარატი" 1:1**

**„მეტალისტი" — „ზენიტი" 1:1**

**„დინამო" კ. — „ლოკომოტივი" 1:0**

**„კაირატი" — „დინამო" მნ. 1:2**

**„ტორპედო" — „ჟალგირისი" 2:2**

საკავშირო ჩემპიონატში ახლა 26 ივნისამდე შესვენება მოეწყობა, ამ პერიოდში სსრ კავშირის ნაკრები გამართავს ჯერ ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

28 მაისს შედგება სსრ კავშირის 1988 წლის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი). 11, 16 და 20 ივნისს გაიმართება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის IV, V და VI ტურების შეხვედრები, ხოლო 26 ივნისს, კვირას შედგება საკავშირო ჩემპიონატის XII ტურის თამაშები. თბილისის დინამოელები ამ დღეს თავიანთ მინდორზე მიიღებენ ხარკოვის „მეტალისტს".

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობა ● მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო" (კიევი) | 11 | 7 | 3 | 1 | 15-4 | 17 |
| 2. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 11 | 6 | 3 | 2 | 16-11 | 15 |
| 3. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 11 | 5 | 5 | 1 | 12-5 | 15 |
| 4. „ზენიტი" (ლენინგრადი) | 11 | 6 | 2 | 3 | 21-17 | 14 |
| 5. „სპარტაკი" (მოსკოვი) | 10 | 5 | 4 | 1 | 13-7 | 14 |
| 6. „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 11 | 6 | 0 | 5 | 11-11 | 12 |
| 7. „ტორპედო" (მოსკოვი) | 11 | 4 | 4 | 3 | 11-11 | 12 |
| 8. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 11 | 4 | 3 | 4 | 12-11 | 11 |
| 9. „დინამო" (მოსკოვი) | 11 | 4 | 2 | 5 | 12-15 | 10 |
| 10. „არარატი" (ერევანი) | 10 | 3 | 3 | 4 | 7-8 | 9 |
| 11. „მეტალისტი" (ხარკოვი) | 11 | 2 | 5 | 4 | 9-14 | 9 |
| 12. „დინამო" (თბილისი) | 11 | 4 | 0 | 7 | 15-19 | 8 |
| 13. „დინამო" (მინსკი) | 10 | 2 | 4 | 4 | 9-10 | 8 |
| 14. „შახტიორი" (დონეცკი) | 11 | 2 | 4 | 5 | 8-12 | 8 |
| 15. „ნეფთჩი" (ბაქო) | 11 | 3 | 1 | 7 | 9-14 | 7 |
| 16. „კაირატი" (ალმა-ათა) | 12 | 2 | 1 | 9 | 8-19 | 5 |

ფეხბურთი ფეხბურთი



## მეთექვსმეტედფინალში ითამაშებენ

**თბილისი.** „შევარდენი"-სპი 22 მაისს სსრ კავშირის საფეხბურთო თასის ოცდამეთორმეტედფინალში ფოთის „კოლხეთს" მასპინძლობდა. თასის მატჩებში II ლიგის გუნდები საკმაოდ ხშირად აღწევენ წარმატებას უფრო მაღალი ლიგების წარმომადგენლებთან. გავიხსენოთ, თუნდაც, შარშანდელი საკავშირო თასის გათამაშება, რამდენი სიხარული მოგვიტანა სოხუმის „დინამომ", რომელმაც უმაღლესი ლიგის ბინადრებს ტოლი არ დაუდო მწვავე ბრძოლაში.

საინტერესოდ ჩატარდა მატჩი „შევარდენი"-სპი-სა და ფოთის „კოლხეთს" შორის და ეს გასაგებიცაა: გუშინდელ შეხვედრაში გამარჯვებული უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს ვილნიუსის „ჟალგირისს" უნდა შეხვედროდა.

თამაშის პირველმა წუთებმა ორმხრივ იერიშებში განვლო, პირველი საგოლე მომენტი კი მე-18 წუთზე „კოლხეთის" კართან შექმნა ცხოვრებაშვილმა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა მიზანს აცდა. წუთის შემდეგ ცხოვრებაშვილი-ჯოხაძე-ქვანიას ლამაზი კომბინაცია ამ უკანასკნელის თავური დარტყმით დამთავრდა, აქაც ბურთი მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს. სტუმრებმა ამის შემდეგ რამდენიმე სახიფათო კომბინაცია განახორციელეს, 35-ე წუთზე მეტოქის ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე აბუსერიძემ, ბურთთან პირველად გაჩნდა ავრამიდისი, მისმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0.

მხოლოდ ტაიმის მიწურულს დაეუფლა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თბილისელთა თავდამსხმელი ბაკურაძე და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა ბევრად უფრო აქტიურად დაიწყეს, ბაკურაძე-ქვანიას ლამაზი კონტრშეტევა ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით დამთავრდა — 2:1, შემდეგ კი ცხოვრებაშვილის ეფექტურ დარტყმას მესამე გოლი მოჰყვა — 3:1.

თამაშის ბოლო წუთზე შევჩუკს შეეძლო ანგარიში სხვაობა ერთი ბურთით შეემცირებინა, მაგრამ მის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი მიზანს ასცდა.

„შევარდენი"-სპი-ს ფეხბურთელებმა ამ საინტერესო მატჩში გაიმარჯვეს და მეთექვსმეტედფინალის საგზური მოიპოვეს.

ეს მატჩი გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს: **„კოლხეთი"** — გვასალია, ტიბილაშვილი, ქაჯაია, გიორგაძე, ბაჯალაძე, შამათავა, თოფურია, ავრამიდისი, შევჩუკი, მოისწრაფიშვილი (კაკაჩია), მიქაბერიძე; **„შევარდენი"-სპი:** აბუსერიძე, ახალბედაშვილი, ებანოიძე, ჩადუნელი, ნუცუბიძე (ნიკოლაიშვილი), ჯოხაძე, ძნელაძე (ქადაგიძე), სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, ქვანია, ბაკურაძე (ქობულაძე).

**ზაზა კახაძე.**

• • •

თასის ოცდამეთორმეტედფინალში 22 მაისს ლანჩხუთის „გურიამ" თავის მინდორზე სამტრედიის „ლოკომოტივი" მიიღო და გაიმარჯვა ანგარიშით 5:1.

ამ ეტაპის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ნევა" (ტერნოპოლი) — „ოკეანე" (ქერჩი) 1:0, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „პოდოლიე" (ხმელნიცკი) 3:2 (დამატებით დროში, ძირითადი დრო 2:2), ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 4:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „ბუკოვინა" (ჩერნოვცი) 4:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 2:1 (დამატებით დროში, ძირითადი — 1:1), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 3:0, „ისკრა" (სმოლენსკი) — „ზარია" (კალუგა) 1:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 1:2, „ზვეზდა" (პერმი) — „კუზბასი" (კემეროვო) 0:1, „ნაფტიანიკი" (ფერგანა) — „მელიორატორი" (ყზილ-ორდა) — დამატებითი პენალტებით 4:5 (ძირითადი და დამატებითი დრო 0:0), „დინამო" (ბარნაული) — „ხიმიკი" (ჯამბული) 1:0, „ტრაქტორი" (პავლოდარი) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:0, „ირტიში" (ომსკი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0.

ამრიგად, სსრ კავშირის 1988-89 წლების გათამაშებას საქართველოდან გააგრძელებს 3 გუნდი. თბილისის დინამოელთა მეტოქეა კიშინიოვის „ნისტრუ", ლანჩხუთის „გურიისა" — კიევის „დინამო", ხოლო თბილისის „შევარდენი"-სპი-სა — ვილნიუსის „ჟალგირისი". მეთექვსმეტედფინალის მატჩები ამ გუნდებს შორის გაიმართება 4-5 ივნისს უმაღლესი ლიგის წარმომადგენელთა მინდვრებზე, მეტოქეები ერთმანეთს განმეორებით შეხვდებიან 20 ივლისს.

ნორჩ მოცურავეთა საკავშირო პირველობა

# ჭერზე ქუდის კვრა ნაადრევია

**საქართველოს** მოცურავეთა უსაშველოდ ჩამორჩენის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. მრავალი წელია, რაც ჩვენი მოცურავეებისათვის საკავშირო შეჯიბრებებზე, გუნდურ პირველობებში, ათეულში მოხვედრაც კი სანატრელი გამხდარა. ამას ვერც უფროსები ახერხებენ და ვერც უმცროსები. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ეს ასპარეზობები რესპუბლიკებისთვის ტარდება თუ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებებისთვის, სადაც რესპუბლიკებს შორის არაოფიციალური გუნდური პირველობის შედეგებსაც აჯამებენ.

ჩვენი მოცურავეები ამ ასპარეზობებში, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ვერც პირად პირველობაში აღწევენ სასურველ შედეგებს.

ყოველივე ამის ფონზე საქართველოს ნორჩი მოცურავეების შედეგები, რომლებიც ამას წინათ ალმა-ათაში გამართულ საკავშირო პირველობაზე აჩვენეს, საკმაოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. იმ ასპარეზობაში, რომელიც სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის ჩატარდა, 1972-73-74 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

საქართველოს წარმომადგენლებმა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, VII ადგილი დაიკავეს. ჩვენი მწვრთნელები განსაკუთრებით იმან გაახარა, რომ მათმა აღსაზრდელებმა VIII ადგილზე გასულ ესტონეთის გუნდს მთელი 102,5 ქულით გაუსწრეს.

ამ ასპარეზობაში ჩასათვლელ ქულებს თექვსმეტ უძლიერეს სპორტსმენს შორის დამკვიდრებული მოცურავეები იძლეოდნენ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ჩასათვლელი ქულების მიღება პროგრამის თერთმეტ სახეობაში მოახერხეს. საქართველოს მოცურავეები რვაჯერ პირველ ანუ უძლიერეს ფინალში მონაწილეობდნენ, ორი მათგანი კი პრიზიორიც გახდა.

ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა თბილისელი ანდრეი შჩუკინი (პროფკავშირები), რომელმაც სპორტის ოსტატის შედეგით (2.09,95) 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა. იგი გამარჯვებულს 13 მეასედი წამით ჩამორჩა.

საქართველოს მოცურავეთაგან სპორტის ოსტატის შედეგები აჩვენეს აგრეთვე თბილისელებმა ანა ელიზბარაშვილმა („დინამო") და ვლადიმერ სტეპანოვმა. ელიზბარაშვილმა ასეთი შედეგით 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.16,8) მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო სტეპანოვი 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.14,00) მეშვიდე იყო.

იმავე სტეპანოვმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, მართალია „მხოლოდ" სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგი (4.44,77) აჩვენა, მაგრამ, სამაგიეროდ, მან აქ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

უნდა ითქვას, რომ სტეპანოვმა ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეთაგან ჩასათვლელი ქულები ყველაზე მეტჯერ მიიღო. მან ეს მოახერხა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც, სადაც მეთერთმეტე იყო (2.01,77).

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია. ალმა-ათაში ნაჩვენები შედეგები ჩვენს მწვრთნელებს ოპტიმიზმს უნერგავს და მომავალი შეჯიბრებებისთვის იმედით ავსებს.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ ჭერზე ქუდის კვრა ნაადრევია, ეს დრო ჯერ არ დამდგარა. ცურვაში კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს და თითო-ოროლა ასე თუ ისე კარგი შედეგი დამშვიდების უფლებას არ იძლევა. მაგალითად, დასამშვიდებელი ის სულაც არ არის, რომ ალმა-ათაში მონაწილე სპორტსაზოგადოებების ნაკრებ გუნდებში ჩვენი რესპუბლიკის მხოლოდ რვა მოცურავე მოხვდა.

**რედაქციისაგან: რესპუბლიკაში ცურვის განვითარებაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობისა და გადასაჭრელი პრობლემების შესახებ ვრცელ წერილს ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.**

# ტრავმის ფასი

**საბჭოთა** კავშირის ახალგაზრდულმა პირველობამ კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ზაპოროჟიეში ჩატარდა, თავი მოუყარა რესპუბლიკების 12 ნაკრებ კოლექტივს, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი.

საქართველოს ათლეტებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. ესტონეთის გუნდი მათ დაამარცხეს ანგარიშით 9:1, აზერბაიჯანისა — 10:0, თურქმენეთის — 10:0. მთავარი ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს უკრაინასთან ჰქონდათ. ეს შეხვედრა უკრაინის ახალგაზრდა კლასიკოსებმა მოიგეს მინიმალური უპირატესობით 6:4 და ჯგუფში I ადგილი დაიკავეს. საქართველოს ნაკრებმა ამის შემდეგ მოლდავეთის კოლექტივი დაამარცხა, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

ჩემპიონის სახელისთვის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში უკრაინის ნაკრებს რუსეთის ფედერაციის გუნდი შეხვდა, რომელიც უძლიერესი იყო თავის ჯგუფში. აქ უპირატესობას უკრაინელმა მოჭიდავეებმა მიაღწიეს — 7:3.

საქართველოსა და მოსკოვის კლასიკოსთა შეხვედრა მესამე ადგილისთვის ფრედ — 5:5 დამთავრდა. საქმე ის გახლდათ, რომ 68 კგ წონითს კატეგორიაში ტრავმირებულმა რამაზ გუდაძემ ვერ შესძლო ხალიჩაზე გამოსვლა და მოსკოვის გუნდმა უბრძოლველად მოიგო ქულა, ზუსტად ის ქულა, რომლითაც მან გაათანაბრა ანგარიში. თანაბარ პირობებში კი უპირატესობა მოსკოვს მიენიჭა, ვინაიდან ჩვენ ერთი მოჭიდავის გამოყვანა ვერ შევძელით.

უკრაინის გუნდმა 22 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილზე გავიდნენ რუსეთის ფედერაციის, მოსკოვისა და საქართველოს კოლექტივები, რომლებსაც 18-18 ქულა აღმოაჩნდათ.

სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისის არმიელებმა ნაიბი დვალიძემ (100 კგ) და გენო პაპაშვილმა (48 კგ), აგრეთვე ქუთაისის დინამოელმა გია ჩაკვეტაძემ (82 კგ), რომლებმაც თავიანთ წონაში ყველა შეხვედრა მოიგეს.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 21-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 21 (ცურვა), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 18 (მძლეოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 24 (ხელბურთი), 29 (სასტენდო სროლა), 33 (ფეხბურთი).

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 24 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში: საფრანგეთი — მსოფლიოს ნაკრები (გადაცემა საფრანგეთიდან) — **9.35 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **19.45 (2).**

# ზედიზედ მეექვსე გამარჯვება

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. დასკვნითი ეტაპი ერთობ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. მდგომარეობა ფინიშზე კიდევ უფრო დაიძაბა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მონაწილენი იბრძვიან არა მარტო ჩემპიონობისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ნახევარფინალური ტურნირის საგზურებისთვისაც (I-II ადგილები).

ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იზეიმა ოსტატმა გია გიორგაძემ, მან IX ტურში შავი ფიგურებით ოსტატი ზურაბ მიქაძე დაამარცხა. თეთრებმა დებიუტშივე მეტოქეს პაიკი შესწირეს, მაგრამ საკმარისი კომპენსაცია ვერ მიიღეს. გიორგაძემ ზედმეტი პაიკის შენარჩუნება შეძლო, შემდეგ მან მეორე პაიკიც მოიგო და საბოლოოდ მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ პირველი დამარცხება იგემა ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა თამაზ ტაბატაძემ (შავებით) თამაზ კიკიანთან შეხვედრაში. მეტოქეებმა ჰოლანდიური დაცვის ერთ-ერთი არც თუ ისე პოპულარული ვარიანტი „ქვის კედელი" გაითამაშეს. ბრძოლა ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა, შავებმა ორი კუს უპირატესობა მიიღეს. ტაბატაძე ცდილობდა ცენტრი გაერღვია, ამასობაში კი თეთრებმა გახსნეს h ვერტიკალი. ტაბატაძემ ცაიტნოტში შეცდომა დაუშვა ჯერ ერთი, შემდეგ კიდევ რამოდენიმე პაიკი დაკარგა და თავი დამარცხებულად სცნო.

ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა იგორ ეფიმოვმა, მან ამჯერად ცხაკაიელ ოსტატობის კანდიდატ დავით ჩაჩიბაიას სძლია. ამ მოგებით ეფიმოვმა მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და ეხლა მას საპრიზო ადგილებზე გასვლის რეალური შანსი აქვს.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: გურგენიძე-ტყებუჩავა — 0:1, სუპატაშვილი-გოგიჩაიშვილი — 0:1, ზაიჩიკი-ბალათუროვი — 0:1, თორია-ხეცურიანი — 0,5:0,5,

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ 8,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს გია გიორგაძე, მას 1,5 ქულით ჩამორჩება თამაზ ტაბატაძე, შემდეგ მოდიან: იგორ ეფიმოვი — 6, გია ბალათუროვი — 5,5, თამაზ კიკიანი, გივი გოგიჩაიშვილი — 4,5-4,5, ბუხუტი გურგენიძე, გენადი ზაიჩიკი (ყველა — თბილისი), ზესიკ ხეცურიანი (ქუთაისი) — 4-4.

ვასილ ვაშაკიძე.

## შესარჩევი მატჩები დაიწყო

**დაიწყო** 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. დუბლინში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და მალტის (ევროპის VI ჯგუფი) ფეხბურთელები, გაიმარჯვა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდმა — 3:0.




# სპორტული ფოტოს სათავეებთან

**ამასწინათ** ქართული სპორტის ერთ-ერთ ვეტერანთან სტუმრობისას, თვალი მოვკარით ძველ, 1923 წლის 1 სექტემბრით (№ 9) დათარიღებულ ჟურნალ „პლამიას" („ალი"). ეს ილუსტრირებული ლიტერატურულ-მხატვრული და სატირული ჟურნალი, რომელიც ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა თბილისში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში", საკმაოდ საინტერესო მოგვეჩვენა.

ჯერ იყო და ჟურნალის ნომრის ფასს მივაქციეთ ყურადღება — 700.000 მანეთი. დიახ, ასეთი იყო იმხანად საკმაოდ გაუფასურებული ფულის კურსი (როგორც თანამედროვენი იხსენებენ, ადამიანები საყიდლებზე ტომრით გაჭედილი ფულით დადიოდნენ). რაც შეეხება ჟურნალის შინაარს, იგი ფრიად საინტერესოა. აი ნაწყვეტი დავით კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძიდან", ცისფერყანწელთა ჯგუფის აქტიური წევრების გრიგოლ რობაქიძისა და ტიციან ტაბიძის ლექსები. იმავე ტიციან ტაბიძის წერილი ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილზე მისივე ფოტოთი. ჟურნალში დაბეჭდილია ვ. კუიბიშევისა და ნ. სემაშკოს თბილისში ყოფნის შესახებ ამსახველი ფოტოილუსტრაცია, სხვა საგულისხმო ტექსტობრივი თუ ფოტო მასალები.

ჩვენი ყურადღება, ცხადია, პირველ ყოვლისა ჟურნალში დაბეჭდილმა სპორტულმა ამბებმა და ფოტოსურათებმა მიიპყრო. ესაა მე-15 გვერდზე მოთავსებული ათი ფოტოილუსტრაცია. ისინი ე. წ. „ოკა"-ს („კავკასიის ცალკეული არმიის") მეხუთე ოლიმპიადის დროსაა გადაღებული.

გვერდში დასტამბულ სურათებზე გამოსახულია ტურნირში გამარჯვებული ქართული დივიზიის ფეხბურთელთა გუნდი, მძლეოსნების — ნებიერიძის სამხტომი, ვლადიმერ დიაჩკოვის გამოსვლა ჭოკით ხტომაში, დიმიტრი მიქაბერიძის ხტომა სიგრძეზე, 400 მეტრზე რბენის ფინიში, ტანმოვარჯიშე ვასო ვერულაშვილის ასპარეზობა ღერძზე და სხვა.

საინტერესოა, რომ ამ სურათებს ერთი და იგივე წარწერა აქვს — **„ფოტო ე. ქვანიასი"**. დიახ, ეს ის ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი ევტიხი ქვანია გახლავთ, რომლის ფოტოატელიე დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს რუსთაველის პროსპექტზე (სახლი № 14) სასტუმრო „თბილისის" წინ.

აი როგორი კომენტარი გაუკეთა ამასწინათ ჟურნალ „პლამიაში" დაბეჭდილ ფოტოსურათებს სპორტის




დამსახურებულმა ოსტატმა ვასო ვერულაშვილმა:

— ამ სურათების გადაღება კარგად მახსოვს. დარიანი დღე იყო, საუკეთესო, „გაშლილი" განათება. შეჯიბრება — ე. წ. „ოკა"-ს ოლიმპიადა დიდუბის იპოდრომზე მიმდინარეობდა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფეხბურთი, სროლა და სხვა. რაც შეეხება ევტიხ ქვანიას, იგი მაშინ უკვე საკმაოდ ცნობილი ფოტოხელოვანი იყო და სპორტულ შეჯიბრებებზე მისი გამოჩენა ასისტენტებით მუდამ გვახარებდა. უნდა ითქვას, რომ პატივცემულ ევტიხს ძალიან უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით ჭიდაობა, ტანვარჯიში და მძლეოსნობა.

აკი ამიტომაც აღუბეჭდავს მას ასე ოსტატურად (განსაკუთრებით იმ დროისათვის, როდესაც ფოტოოპტიკა და თვით აპარატურა არ იყო დღევანდელივით სრულყოფილი) საკმაოდ დინამიური მომენტები რბენასა, ხტომასა და ტანვარჯიშში. როგორც ჩანს, სწორედ ევტიხი ქვანია უნდა მივიჩნიოთ საქართველოში სპორტული ფოტოს მამამთავრად!

## კალეიდოსკოპი

### რას ნიშნავს „ევანჯელისტის საქმე"?

იტალიის მძლეოსანთა ფედერაციის ტექნიკურმა კომისიამ მოითხოვა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციისა და იტალიის მძლეოსანთა ფედერაციის პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს გადადგომა. რომაელი ბიზნესმენი კომისიის წევრთა აზრით უნდა დაისაჯოს იმიტომ, რომ სცადა ე. წ. „ევანჯელისტის საქმე" ჩაეფარცხა.

რა საქმეზეა ლაპარაკი? როგორც ცნობილია 1987 წლის 5 სექტემბერს რომში მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი სიგრძეზე ხტომაში მიიღო იტალიელმა ჯოვანი ევანჯელისტმა. მაშინ, შეჯიბრების დღეებში გაზეთები წერდნენ, რომ იტალიელი სპორტსმენის შედეგი (8 მეტრი და 38 სანტიმეტრი) წინასწარ იყო დადგენილი. იგი სპორტსმენს მსაჯების დახმარებით სწორედ მეექვსე ცდაზე უნდა ეჩვენებინა.

ამ თაღლითობაში ჩარეული იყვნენ იტალიელი მსაჯები და ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები. ექვსმა მათგანმა, მათ შორის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუჩანო ბარამ და ვაჟთა ნაკრების შეფმა ენცო როსიმ თვითონ დასტოვეს პოსტი. ნებიოლოს დიდხანს არ სურდა ამ სკანდალური ისტორიის გახმაურება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა მიეღო დამნაშევათა გადადგომა. სწორედ ამის გამო მოითხოვს კომისია თვითონ პრიმო ნებიოლოს დასჯას.

### პოლიტიკა, რომელსაც წარმატება მოაქვს

„კალგარის თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდა. ახლა მთელი ჩვენი ყურადღება ზაფხულის ოლიმპიადის გარშემოა კონცენტრირებული" — განაცხადა ავსტრიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჰაინც იუნგვირტმა.

პროგნოზებისგან მან, ცხადია, თავი შეიკავა, მაგრამ აღნიშნა, რომ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ავსტრიის სპორტსმენთა კარგი გამოსვლა იმ პოლიტიკის შედეგი იყო, რომელსაც ბოლო ხანებში მიმართავს მთავრობა. ეს პოლიტიკა ძალაში რჩება ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მიმართაც, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ავსტრიის სპორტსმენებმა სეულში ბევრი სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზონ, — ფიქრობს გენერალური მდივანი.

### ახალი „ვარსკვლავი"

მან შეუმჩნევლად შეაბიჯა მსოფლიო ცურვის ელიტაში. ამას წინათ აშშ-ს ქალაქ ორლანდოში გამართულ ქვეყნის ღია ჩემპიონატზე პოლონელმა არტურ ვოიდატმა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (3.47,38). მანამდე ვოიდატს არავინ იცნობდა.

იგი დაიბადა 1968 წლის 20 მაისს ოლშტინში. ნიჭიერი მოცურავე-გიგანტი (სიმაღლე — 194 სმ, წონა — 82 კგ) „აღმოაჩინა" მწვრთნელმა თადეუშ მაზურამ, რომელმაც იგი პოლონეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვერნერ ურბანსკის გადასცა.

სულ მალე ვოიდატი სტაჟირების მიზნით შეერთებულ შტატებში გაგზავნეს. ასე მოხვდა იგი ცნობილ საცურაო ცენტრში „მიშნ ვიეხოში" მწვრთნელ ტერი სტოდარდთან.

ვოიდატი გულმოდგინე მოწაფე და საკმაოდ უნივერსალური მოცურავე გამოდგა. იგი წარმატებით გამოდის, აგრეთვე, 200-მეტრიან დისტანციაზეც და 800 მეტრზეც. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ „ახლადგამომცხვარი ვარსკვლავი" სეულში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება, ოღონდ სად, რომელ დისტანციაზე, ეს მწვრთნელის გარდა ჯერ არავინ იცის.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 68486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05358